



# სოფლად

1

უდანოდ დამკალ, გოგოჯან  
 მკერდი გამაზე ორდა,  
 გული აიღე-საცელქოდ,  
 გასატყორცნ-გასაგორდა!..  
 მიგორავს გულიც... სისხლი სდის...  
 იკმარე მისი წვალება!..  
 რა გინდ დატანჯო-მაინც შენ,  
 მხოლოდ შენ გენაცვალება!

2

ძნელია, აუტანელი,  
 საყვარლის მოლოდინიო!  
 გული სცილდება საგულეს  
 ეჭვისგან იწვის ტვინიო!  
 თვალები რბიან... ეძებენ...  
 და მახვილდება სმენაო...  
 სისხლი აგორებს ტალღებსა.  
 შრება სასა და ენაო!  
 დამტანჯა შენმა ლოდინმა,  
 გამანახვერა კაციო!  
 ისწრაფე, თუ რომ არ გინდა  
 უსულო ლეშად მაქციო!

3

გითხრა, რომ ძრიელ მიყვარხარ?!..  
 თუმც ვიტყვი ამით მართალსა,  
 მაგრამ ამ თქმაში რას ნახავ  
 არა თქმულს სხვისგან, ახალსა?..  
 მოზღვევებულის გრძობისა  
 გამოთქმა რა რიგ მწყურია!  
 მაგრამ ამ გამოთქმისათვის  
 ენა—რა უსუსურია!..  
 რას არ ვიქმ შენთვის, რას არა!  
 მზეს ჩამოვართმევ ნათელ სხივს,  
 და ყელსაბამად მოგართმევ  
 შუქურ ვარსკვლავთა ტურფა მძივს!  
 გვირგვინს დაგიწნავ ელვისას!  
 გასმევ ღმერთების ტკბილ სასმელს,  
 ცისარტყელისგან მოგიქსოვ  
 მეფურს, მშვენიერს ტანსაცმელს!  
 დაგაფრქვევ დილის ლაყვარდსა,  
 ყვავილთ წყაროში გაბანებ,  
 ვისალამურებ ნიაფსა,  
 ანგელოზთ გუნდსა ვიბანებ...  
 ავამეტყველებ ქვას, ხესა!  
 დაგიკმევ გუნდრუკს ქებისას,  
 შენ სადიდებლად-მივწვდები  
 მოვხრი ქედს ამაყ მთებისას!  
 რა დამიდგება წინ, ვაჟკაცს?!  
 თვით სიკვდილს გავუმკლავდები!..  
 მაგრამ... ამითი ვეუბნებ, რომ  
 გადმოგცე გულის ნადები!  
 სად არა ვძებნე სიტყვები,  
 გრძობის გამოთქმის მნატურელი?  
 არ არის სიტყვა, არც საქმე  
 ამ გრძობის გამომხატველი!..  
 მოდი, მომხვიე მკლავები,  
 ყური დაუგდე ამ წრფელ გულს;  
 იგი უსიტყვო სიმღერით  
 გადმოგცემს მთლად ჩემს სიყვარულს!..

კ. მაყაშვილი.



# იღუმელი ხმები

ლამე უძრავად გაქვავებულსა,  
 შავი ფიქრებით მიკვნესის სული;  
 და ცის სივრცისკენ მიშტერებულსა,  
 მესმის იღუმელ ხმების ჩურჩული:

პირველი ხმა.

„როცა წყარო კორდებდა  
 ვერცხლის ფერად ციმციმებს,  
 როცა ყვავილ-ჩირგვებში  
 სიო დაჰქრის... სისინებს,  
 როცა ფოთლები ჰკრთიან,  
 მდელიც ველზე ბიბინებს:  
 შენი სული ამ წამსა  
 მწარედ რაღად ქვითინებს?“

მეორე ხმა:

„ვერ გაჰთანტა ობოლმა  
 ბინდი შავი ღამისა,  
 ვერ მიუხვდა სად მიჰქრის  
 ფერადობა ჟამისა,  
 ვერ შეიგნო მიზანი  
 არსის დასაბამისა:  
 შენი მოთქმა—ამ წამსა  
 გოდებაა—ამისა“...“

ხმები ჰქრებიან... აღეღვებულო  
 ვიწყებ მდულარე კრემლების ფრქვევას,  
 და ცივ ხარხარით შევძახი ზეცას,  
 ზეცას მდუმარეს—კიცხვას და წყევას...

კიკნა-ფშაველი.




# ჩემი სატრფო

ჩემი სატრფო მიწიერი როდია!..  
 მისი ხატება ქვეყნად ვერ ვზოვე!..  
 ან კი რა უნდა მას ცოდვით სავესე მიწაზე, ბილწ ადა-  
 მიანთა შორის?  
 ამ ქვეყნად მის ხილვას სხვა ვერ ელირსება!.. ადამიანის  
 შურიანი თვალი მისი შვენებით ვერ დასტკებდა!..  
 ის მარტო ჩემმა ოცნებამ შეჰქმნა: მშვენიერებას და სათ-  
 ნოებას ხორცი შეასხა და გულს სიცოცხლის მიზნად დაუსახა!  
 ოხ, ის რომ არ იყოს, რა უმიზნო, რა სავალალო იქმნე-  
 ბოდა ჩემი სიცოცხლე!..  
 ის ძალიან შორს არის კაცთა სამეფოდან და იმისთვის  
 ადამის ძეთ სულაც არა ჰგავს. ღიახ, ის შორს არის, შორს!  
 აი იქ, ოცნების სამეფოში!.. იქ აღიზარდა თავისუფალი და  
 მომხიბლავი ვით თვით ოცნება!..  
 ის შორს არის, მაგრამ მეკი ყოველ-წუთს თვალწინ მიდ-  
 ვას მისი სხივ მოსილი სახე.  
 ხანდისხან... ხშირად, გული აშკარად ჰგრძობს ხოლმე  
 მის სიახლოვეს: თითქოს ის აი აქ, ჩემს გვერდით, ზის. ყურს  
 მკაფიოდ ესმის მისი მომხიბლავი ხმა... ის რაღაც ტკბილს, რა-  
 ლაც სანეტაროს, რაღაც მომხიბლავს სიტყვებს ჩამჩურჩულებს  
 და გულს ნეტარებით აღეღვებს! მე მაშინ მეფე ვარ, მეფე!  
 ჩემს სამეფოს თუმცა მარტო ჩემი სატრფოს გული შეადგენს,  
 მაგრამ ამ პატარა სამეფოს მე მთელი ხმელეთის სამეფოებში  
 არ გავცვლი!..

# „ტიტანიკის“ დაღუპვის გამო.



„ტიტანიკის“ კაპიტან სმიტის უკანასკნელი წუთები.



გემი „კარპატია“ ტიტანიკის გადარჩენილ მგზავრებს გემზე იყვანს.

ღიახ, მე მას უყვარვარ! მე მისი სიტყვები მწამს! ის ხომ ადამის ძეთ არაფერში ჰგავს!..

ოხ! რა შესაბრალო იყო ჩემი ყოფნა, სინამ ჩემს სამარისებრ ჩამოხრწებულს და გაყინულს გულს მისი ნათლის მფრქვეველი და სითბოს მომტანი სხივი მოჰხვდებოდა!!!..

წუთის სოფლის არარაობამ მეც არარად გადამაქცია! ადამიანის სამარცხვინო ყოფნამ თვით ჩემი თავიც შემაძავა! ოხ! როგორ მტანჯავდა მე ის ფიქრი, რომ მეც ადამიანი ვარ, მხოლოდ ადამიანი! ცრუ, ფლიდი შურიანი, მტარვალი, შეუბრალებელი!

ყველას მგობობი, თვით ყველსგან გმობილი, ვითა დემონი ზეციდან გადმოტყორცნილი, კაცდამი სიძულვილით აღჭურვილი, მივცურამდი ცხოვრების ზღვაში, მის მრისხანე მგრგვინავ ტალღათა შორის სრულგებით უმიზნოდ! ბევრჯერ ცდილა მისი ზავი უფესკრული ჩემს ჩანთქმას, მაგრამ გულს მცირეოდენი შიშიც კი არ უგრძვნია! მე არ ვიცოდი რა არის სიკვდილის შიში!..

მე არ ვიცოდი სიცოცხლის ფასი!..

და ეხლა კი... ოხ! ტკბილია, ტკბილი ჩემთვის სიცოცხლე! ყოველი მისი წუთი საუკუნოებად ღირს ჩემთვის!.. იმისთვის, რომ ყოველი წუთი ჩემ სატრფოზე ფიქრით არის მოცული!..

ღიახ! სიცოცხლესთან მარტო მასზე ფიქრი მაკავშირებს და რა არ მაგონებს მე მას!..

აი თვით კეკლუცი გაზაფხული: როდესაც მთა-ბარი მწვანე ხავერდით შეიმოსება, როდესაც დედა-მიწის გულ-მკერდი თვალ-წარმტაცად ათასფერად მოიქარგება, როდესაც ბუნება თვის მკვდრეგით აღდგომას დღესასწაულობს: ყველა ხარობს, ყველა სტკბება. ჰაერი გაჟღენთილია მომჯადოებელის სურნელებით, რომელიც ადამიანს ათრობს, ატკბობს, სიცოცხლისკენ იწვევს; ბუნება მომხიბლავია, მშვენიერი, მშვენიერია თავის ქალწულებრივის მშვენიერებით, თითქოს ის აი დღეს შექმნილა და ადამიანის ბილწი ხელი ჯერ მას არ შეჰხებია. გაზაფხულის შვენება ჩემს სატრფოს მაგონებს ხოლმე: ის ისეთივე მშვენიერია, ისეთივე მომხიბლავი!.. ზაფხულის დილას, როდესაც დღის მნათობი ამაყად ამოცურდება ცის კაბადონზე, მედიდურად ამოსივრის თვის სპეტაკს სხივებს, რომ ბოლო მოუღოს ქვეყნად სიბნელეს, როს ქვეყანა შეშინებული გამოუხსლტება წყვილადის შავ ფრთებს, აღტაცებული ეგებება მზის უმანკო სხივებს, აღადებს მზეს, ქვეყნად სითბოს და სინათლის მომტანს, უგალობს მას დიდებულს ჰიმნს, ბოლო ეღება წყვილადის, სიკვდილის, ყველგან ისმის სიცოცხლის ტკბილი მელოდია, მე მაშინაც ჩემი სატრფო მიდგა თვალწინ: ის ისეთივე დიდებულია, ისეთივე სიცოცხლის და სინათლის მომფენია ვით მზე!..

ისეთივე უმანკოა ვით მზის სხივი!!!..

აი, როდესაც უცქერი მთის ნაპრალიდან გადმოხეთქილს გიჟმაე ნაკადულს, ზვიადი მთის გულიდან მოწურულს ცრემლებს, ის მარგალიტად იბნევა ძირს, ეფრქვევა დედა-მიწას, ესხურება ვით აიაზმა ცოდვების გასაწმენდად. ის სპეტაკია, წმიდაა, უმანკოა ვით ქალწულის პირველი სიყვარული. უცქერი ნაკადულს და ჩემი სატრფო მიდგას თვალწინ: ის ისეთივე უმანკო ცრემლებით დასტირის ადამიანთა სულის სიმდამბლეს, ადამიანთა ღუბჭირს ცხოვრებას!..

ღიახ! ის სჭირის ხოლმე!.. ის ცრემლით მოსთქვამს ადამიანის საზიზღარს მოქმედებათ!.. და მაშინ, ოხ, მაშინ მზათა ვარ მის წინაშე მუხლი მოვიდრიკო!.. რალაც საიმედო სხივი ჩამოაშუქებს ხოლმე გულში, რომ ის ჩვენს უბედურებას დასტირის.

ოხ! მშვენიერია, მშვენიერი მაშინ მისი სევდის გამომეტყველი თვალები!..

სოფელით დევნილი ბუნებამ შემითვისა. მის შვილთა მეგობრულს ბაასში ვპოვებდი სულის ნუგეშს.

ერთს ზაფხულის საღამოს სულს მოსწყურდა მარტოობა. გულს მოსურდა, შორს ყველასგან, თავდავიწყებით მისცემო-

## სასამართლო მცირე წლოვანთათვის.



მოსკოვში 23 აპრილს დაარსდა სასამართლო მცირე წლოვანთათვის. მისი მიზანია ჰუმანიტურის ზომებით გაასწაროს დანაშაულობაში გახვეული ბავშვები. ამ სურათზე გამოხატულია ის დრო, როდესაც მცირე წლოვან დამნაშავეს მოსამართლე ჩვენებს ართმევენ.

და სატრფოზე ფიქრს. ტყის პირს გავედი. ტურფად მოქარგულს დედა-მიწის გულ-მკერდზე მიყრდნობილი გატაცებით ვისმენდი ფრინველთაგან მზის სადიდებლად შეთხუხულს ჰიმნს. ისინი დიდის დიდებით აცილებდნენ ჩამავალს მნათობს. დასა-

ვლეთი ოქროს ფრად შეღებლიყო. ჩამავალი მზის სხივები ოქროს გვირგვინად დასდგამოდა თავს ცამდის ატყორცნილს ბუმბერაზ მთას. ოხ, რა ზვიადად, რა მედიდურად იყურებოდა ოქროს გვირგვინის ქვეშ გოლიათი მთა! მაგრამ დიდხანს როდი გასტანა მისმა გვირგვინოსნობამ!.. მზე ჩავიდა. ბუმბერაზი მთას თავს აეხადა ოქროს გვირგვინი. აქა იქ მთის მწვერვალებზე, ოდნავლა ჰკრთოდნენ მზის უკანასკნელი სხივები, ძირს კი ბუნებას მუქი საღამოს ფერი გადაეკრა.

ნათელი გაჰქრება?..  
წყვდიადი გამეფდება?..  
გამაჟრჟოლა!!!..

საშინელი შიში ვიგრძენ სიბნელას წინაშე! გულ-ჩაფერფლილი დავტყეროდი, აქამდის მზის სხივებით გაკაშკაშებულს, ახლა კი მუქ სულარაში გახვეულს ბუნებას.

უცებ თითქოს ვილაღის მოახლოვება ვიგრძენ!..

შურარარ! გაიშრიალა ტყეში მთის ცელქმა ნიავმა და იმ წუთს ჩემს გვერდით გაჩნდა. გიჟმაჟად შემომველო თავს, მომიღერსა, ყელს შემომეჭდო, ამიწეწა თმა. ვერ მოვასწარ საღამოს მიცემა, გასხლტა ჩემგან მიუკურკურა ყვავილთ, ბალახთ, ყველა აახმაურა, ყველა გამოაცოცხლა.

ოხ, რა ცელქია, რა შეუპოვარია, რა მალია მთის ლალი-შვილი!..

მე გულ-დაწყვეტილია გავაყოლე თვალი და თუნდ ერთის წუთით ვინატრი მის მალი ფრთები!..

მაშინ მე აქ რა მინდოდა? წუთს გამახსენდა სატრფო და მასზედ ფიქრმა შჩანთქა მთელი ჩემი არსება!..

შურარარ!.. კვლავ გაისმა ტყის პირს და კვლავ მესტუმრა ცელქი ნიავი.

„მე შენს თვალებში სევდას ვკითხულობ, იქ შიშიც მოსჩანს“, ჩამომეწვეთნენ ყურს მისი სიტყვები.

„სიბნელემ შეგაშინა“? „უხ, რა სულ-მოკლე ჰყოფილხარ“? „მზე ხომ სამუდამოდ არ ჩასულა!..“

„რამდენიმე საათი და მისი ცხოველყოფელი სხივები კვლავ მოეფინება ქვეყანას. ბოლოს მოუღებს, მოსპობს წყვდიადს. სიბნელე იმისთვის არის, რომ სინათლის ფასი ყველამ შეიგნოს!“

იმედის სხივმა ჩააშუქა ჩემს გულში!.. მაშ კვლავ ამოვა მზე? მაშ კვლავ გაჰქრება წყვდიადი?

„ვიზედ ჰტიქრობდი ერთი წუთის წინ“, ჩამომეკითხა ნიავი და თანაგრძობით გარს მომეხვია—სატრფოზე, მიუგე დარცხვენით, მარტო მასზე ფიქრი და მაკავშირებს სიცოცხლესთან.

„ისიც ამ წუთში შენზე ფიქრობს“—მომიგო ცელქმა და მეამბორა. ოხ! რა უმანკო იყო მისი ამბოროი!..

„მიკვირს როგორ სძლებ აქ?“ „შენ ხომ მოგწყინდა ამა ქვეყნის სამარცხვინო ცხოვრების ცქერა?“ „რატომ არ გინდა დასტოვო მიწა?“

— მერე სად-წავიდე?  
„იქ, შენ სატრფოსთან, ოცნების სამეფოში“!..

მე მიწიერი ვარ, როგორ დავტოვებ მიწას?..

„იქ მიწიერი როდი იქნები! იქ მთლად ოცნებად გადაიქცევი, იქ ამ ქვეყნიური ყველაფერი დაგავიწყდება. იქ ჰპოვებ ისეთს სიყვარულს, როგორსაც შენ ეძებ. იქ შენს სატრფოს გვერდით ნეტარებით დასტებები, მასაც დაატკობ.“

„მას შენ უყვარხარ“, სისინებდა ნიავი და გულს საღბუნად ეცხოვრდა მისი სიტყვები.

მე მის ბინას ვერ მივაგნე, ის შორს არის. შევივლე გულის ტყენით.

„შორს არის?“ გაიკვირვა ცელქმა. „სრულებითაც არა!“

„გინდა ეხლავე სატრფოსთან მიგიყვანო?“

„იქ მისახწვევად მარტო უსაზღვრო სურვილია საჭირო, მაშინ ყველაფერს დასძლევ, თვით განუზომელ სივრცეს, თვით განუზომელს დროს“

— მასთან ყოფნის სურვილი ჩემში უსაზღვროა,—მივუბე მე.

„მაშ მომყე!“ გაისისინა ნიავმა და გაჰქროლა. მე ხმა ამოუღებლივ გავყე!..

დედა-მიწა დავტოვეთ. ცის ეთერს შეუერთდით. არ ვიცი რა ძალამ ნიავის სიმაღლე შემძინა. აღბად იმედმა სატრფოს ხილვისამ!.. მეც ნაფს უკან როდი ვრჩებოდი! მივსრიალებდით ცის სივრცეში გადავლიეთ მთები.

ამ მთებს უკან, შორს უფრო დიდი მთა მოჩანდა. მის ცამდის ატყორცნილს მწვერვალს ცის თალი ზედ დაჰბჯენოდა. მთას იქით დიდებულად აღმართულს ნათლის სვეტებს ათასფრად შეეღებნათ ცის კამარა. მისი ელვარებისათვის თვალი ვერ შემემართნა.

აქ მზე ჯერ არ ჩასულა? შევეკითხე ჩემს მზავრს.

„აქ მზე არ ჩადის, ეგ სამეფოა უცვდავებისა და მშვენიერებისა“. „მანდ მზე ყოველთვის ნათობს“, მომიგო მან.

მშვენიერება!!!.. უცვდავება!!!.. ოხ! შორს ყოფილა კაცთაგან მათი სამეფო.

„არ არის შორს“, მომიგო მან და გაისრიალა. მეც გავყევი.

ჩვენს პირდაპირ, კარგა მოშორებით აღმართულიყო სხვა პატარა მთა. ისიც მზის შუქით გაბრწყინებული ცის ეთერში აღმართულიყო, ოქროს სხივებით შემოსილი, ვით სამეფო ტახტი. მის ნათლით შემოსილს მწვერვალს ამშვენიებდა თვალწარმტაცი ქანდაკება ადამიანისა. დიდებული იყო, დიდებული, სხივ მოსილი მისი სახე. ჩემს აღტაცებას საზღვარი არ უჩანდა.

ეს იყავ შენ!!!  
ის არის, ის ჩემი ოცნების ქმნილება!

ის არის, ის, ვისაც ეტრფის შორიდან სოფლით ლტოლვილი ჩემი სული!!!

ვიპოვე ჩემი სიცოცხლის მიზანი!.. შორს არ ყოფილა!.. გავიფიქრე მე და თავდავიწყებით გამოკვანდი შენსკენ.

მოვსრიალებდი... ცელქს ნიავეს გაუსწარ... დალლას ვერ ვგრძნობდი... მე ხომ შენთან მოვდიოდი!

შენი ჯადოსნური ღიმილი ძალას მმატებდა, თვისკენ მიზიდავდა, მზიბლავდა...

მოგიახლოვდი... შენც დაეშვი მთიდან ჩემს შესაგებებლად, მაგრამ...

რამდენიც მიახლოვდებოდი, ჩემ აღფრთოვანებას იმდენად ფრთები ეკვეცებოდა.

შევდექე... ნიავმა გამისწრო წინ... შენ უკვე ჩემს წინ იდეგ!..

„ის არის, ის“, ველარ სვენობდა მკერდში გული! მინდა მოგეგებო, მაგრამ...

ეხ! შემოგეფურთლა უცბად ნათლის სამოსელი და... ჩემს წინ იდეგ ჩვეულებრივი ადამიანი!..

გულმა დაიკვნესა...  
ადამიანი? ოხ მე ხომ მათ გამოვექეცი! ადამიანი? მაშ

რაღ ჰგავს ასე ჩემი ოცნების ქმნილებას?  
„შენი ვიქნები“, ჩამომეწვეთა ყურს შენი სიტყვები.

მე შევეკრთი... შევდექი.  
სსსს... გაისისინა კვლავ ცელქმა ნიავმა, თავს შემომეგლო, ჩამომჩურჩულა:

„ეგ ის არ არის, ნუ ენდობი, მაგას მხოლოდ წუთიერი სიყვარული სწამს“.

„შენ ხომ მაგნაირ, სიყვარულს არ ეძებ?“ „მომყევი, ის იქ მიგელის“.

„შენი ვიქნები“, ყურს კვლავ ჩამეწვეთა შენი სიტყვები...

„სხვისთვისაც უთქვამს... სხვისაც ყოფილა... ნუ ენდობი“, ჩამჩურჩულებდა ნიავი.

„ეგ მხოლოდ ადამიანია, ეგ მარტო წუთიერ გატაცებაში ჰპოვებს ბედნიერებას, მაგისთვის, საუკუნო არა არის რა“, სისინებდა ნიავი.

წუთს თვალწინ დამეხატა ჩემი სხივ მოსილი სატრფო და შენ კი ჩემთვის არარა იყავ!..

კვლავ გზას შეუდექე! შენ კი ძირს ძლივს სჩანდი... მე ბრალეობდი!..

სევდია.

